„არასრულწლოვნის განრიდება როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალება და მისი გამოყენება სისხლის სამართლის თეორიასა თუ პრაქტიკაში“

ნინო კომახიძე

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის პროგრამაზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სისხლის სამართალი

ხელმძღვანელი: ანტონ ქელბაქიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ნინო კომახიძე

16.06.2024

აბსტრაქტი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი ეხება ისეთ მნიშვნელოვან საკითხს, როგორიცაა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, კერძოდ არასრულწლოვანთა განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საშუალება და მისი გამოყენების საკითხი თეორიასა და პრაქტიკაში. კვლევის აქტუალურობა დაკავშირებულია თავად არასრულწლოვანთა ბუნებასთან და მათი, როგორც სახელმწიფოს მომავლის სრულყოფილ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პროცესთან.

განრიდების პროგრამა საქართველოში 2010 წელს ამოქმედდა, რითაც არასრულწლოვნებს დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მიეცათ მეორე შანსის შესაძლებლობა, კერძოდ განრიდების სუბიექტი თავისუფლდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდების პირობების შესრულების სანაცვლოდ, ეს კი მათ რეაბილიტაციასა და სოციალურ ინტეგრაციას უწყობს ხელს. განრიდების პროგრამა გავრცელებულია არა მარტო საქართველოში არამედ მრავალ წამყვან ქვეყანაშიც, არასრულწოვანთა განრიდების საკითხი უზრუნველყოფილია საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით. კვლევის ფარგლებში განხორციელდა არასრულწლოვანთა განრიდების თეორიული და საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის ანალიზი. განხილულ იქნა განრიდების ხელშეკრულების არსი და მისი პირობები, თუ რა სახის ღონისძიებების გამოყენება ხდება არასრულწლოვანთა განრიდებისას. გარდა ამისა მოყვანილი იქნა პრაქტიკული მაგალითები, სადაც გამოჩნდა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილების როლი და მისი სასამართლოსთან გადაკვეთისას არსებული გარემოებები.

კვლევამ აჩვენა, რომ არასრულწლოვანთა განრიდებამ შედეგი გამოიღო, დანაშაულის განმეორებისა და განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევები მინიმალურია. თუმცა განვითარების მრავლწლიანი ისტორიის მიუხედავად ეს საკითხი სრულად დახვეწილი არ არის. კვლევის ბოლოს გაიცა რეკომენდაციები, რომლებიც ავტორის აზრით განრიდების სფეროს განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც განრიდების მიზნების შესრულებას უზრუნველყოფს.

საძიებო სიტყვები: არასრულწლოვანთა განრიდება; არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია; განრიდების ხელშეკრულება; განრიდების ღონისძიებები; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგელობისგან გათავისუფლება;

Abstract

This master's thesis addresses the significant issues within juvenile justice, specifically focusing on the diversion of minors as a means to exempt them from criminal liability, examining both theoretical aspects and practical applications. The study's relevance lies in the nature of minors themselves and their development as future citizens crucial to the state.

The diversion program was initiated in Georgia in 2010, offering minors a second chance following criminal offenses. Participants in the diversion program can avoid criminal liability by meeting specific conditions, thereby promoting their rehabilitation and social integration. This approach is not unique to Georgia but is implemented widely in leading countries, adhering to internationally recognized standards. The thesis conducts a comprehensive analysis of juvenile diversion, encompassing theoretical frameworks and international as well as local practices. It delves into the essence of diversion agreements, the terms therein, and the measures employed in the diversion process for minors. Practical examples illustrate the discretionary role of prosecutors and their interaction with the judiciary.

Findings indicate that juvenile diversion significantly reduces reoffending and non-compliance with diversion terms. Despite its developmental history spanning many years, the approach remains imperfectly refined. The study concludes with recommendations aimed at advancing the field of diversion, ensuring the achievement of its goals.

Search words: Juvenile diversion; Re-socialization and rehabilitation of minors; Diversion agreement; diversion measures; Exemption from criminal liability;